ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა კომისიის სხდომა

ო ქ მ ი#6

25 აგვისტო 2020 წელი

ქ.ბაღდათი 11.00 სთ

სხდომას თავმჯდომარეობდა: გურამი კიკნაველიძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

გვანცა გრძელიძე
გურამ ჩხეიძე
გრიგოლ ტაბეშაძე
გია სახამბერიძე
მაია კბილაშვილი
ტარიელ ჩაკვეტაძე

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი -„ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლის გარეშე დაწესებულებათა დირექტორი: თამილა ფაიქიძე

ა.ა.ი.პ „ბაღდათის კეთილმოწყობის დასუფთავებისა და მუნიციპალური სერვისების გაერთიანების“ დირექტორი: ამბერკი რობაქიძე

ა.(ა).ი.პ. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ხელოვნებისა და კულტურის, განვითარების ცენტრის წარმომადგენლები: ბაჩუკი მშვილდაძე, მამუკა ჭელიძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საბიუჯეტო დაგეგმვის ანალიზის და კონტროლის განყოფილების უფროსი: ვაჟა ჯუღელი

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე: ირინა ტყეშელაშვილი

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თ/მოადგილე: ნოდარ გიორგიძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსი: ნინო მშვილდაძე

საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის ექსპერტ-კონსულტანტი - რამაზ მეფარიშვილი

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსი: გივი კობერიძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი: კახა გოგნაძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი: გიორგი ნერგაძე

სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში, 2019 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.

   მომხს. კახა გოგნაძე

2. ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N 24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

   მომხს. ლერი გუმბერიძე

3. ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის მეორე კვარტლის შესრულების მიმოხილვა.

   მომხს. ლერი გუმბერიძე, გურამი კიკნაველიძე

   თანამომხსენებელი: გივი კობერიძე

4. ბაღდათის მუნიციპალიტეტში საჯარო მმართველობის რეფორმის განხორციელების ხელშეწყობისათვის, ელექტრონული სერვისების განვითარების მიმართულებით 2020-2021 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხს. გურამი კიკნაველიძე

სხდომაზე დამსწრე კომისიის ყველა წევრი თანახმაა განიხილონ დღის წესრიგის მიხედვით წარმოდგენილი საკითხები

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: საკითხი1. კომისიის თავმჯდომარემ გურამი კიკნაველიძემ წარმოადგინა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში, 2019 წელში გაწეული მუშაობის შესახებ. აღნიშნულ საკითხზე მოხსენება გააკეთა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა: კახა გოგნაძემ

კომისიის თავმჯდომარე: გურამი კიკნაველიძემ განაცხადა, რომ ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიშს, 2019 წელში გაწეული მუშაობის შესახებ. საკრებულოს სხდომაზე წარადგენს ბატონი მერი და თუ რაიმე კითხვა არსებობს ანგარიშთან დაკავშირებით დეტალურად გვიპასუხებს, ანგარიშს რაც შეეხება კომისიისათვის ცნობილია

საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: გურამი კიკნაველიძემ კენჭისყრაზე დასვა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში 2019 წელში გაწეული მუშაობის შესახებ. მიიღო ცნობის სახით

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: საკითხი2. კომისიის თავმჯდომარემ გურამი კიკნაველიძემ წარმოადგინა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N 24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ. აღნიშნულ საკითხზე მოხსენება გააკეთა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საბიუჯეტო დაგეგმვის ანალიზის და კონტროლის განყოფილების უფროსმა: ვაჟა ჯუღელმა

კომისიის თავმჯდომარე: გურამი კიკნაველიძემ კითხვით მიმართა ვაჟა ჯუღელს საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მოცულობა რამდენით მცირდება

მუნიციპალიტეტის მერიის საბიუჯეტო დაგეგმვის ანალიზის და კონტროლის განყოფილების უფროსი: ვაჟა ჯუღელმა უპასუხა, გურამი კიკნაველიძეს, რომ საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მოცულობა მცირდება 1144.6 ათასი

ლარით, მათ შორის: დღგ-844.6 ათას ლარით დაქონების გადასახადი - 300.0 ათასი ლარით. აღნიშნულის დაბალანსების მიზნით საქართველოს მთავრობის 2020 წლის 19 აგვისტოს N1570 განკარგულებით ბაღდათის მუნიციპალიტეტს გამოეყო ფინანსური დახმარება 800.0 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო 409.0 ათასი ლარით შემცირდა მუნიციპალური ბიუჯეტი

ა.ა.ი.პ „ბაღდათის კეთილმოწყობის დასუფთავებისა და მუნიციპალური სერვისების გაერთიანების“ დირექტორი: ამბერკი რობაქიძემ კითხვით მიმართა ვაჟა ჯუღელს რამდენით მცირდება დასუფთავების მოსაკრებელი

მუნიციპალიტეტის მერიის საბიუჯეტო დაგეგმვის ანალიზის და კონტროლის განყოფილების უფროსი: ვაჟა ჯუღელმა უპასუხა, ამბერკი რობაქიძეს, რომ დასუფთავების მოსაკრებელი მცირდება 25.0 ათასი ლარის ოდენობით

საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: გურამი კიკნაველიძემ კენჭისყრაზე დასვა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N 24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ. წარმოდგენილი საკითხი გატანილ იქნას საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომაზე

კომისიამ გადაწყვიტა:

ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N 24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ. კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია წარმოდგენილი საკითხი გატანილ იქნას საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომაზე

კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიღებულია

მომხრე:7 **წინააღმდეგი:0**

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: **საკითხი3.** კომისიის თავმჯდომარემ გურამი კიკნაველიძემ წარმოადგინა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის მეორე კვარტლის შესრულების მიმოხილვა. აღნიშნულ საკითხზე მოხსენება გააკეთა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საბიუჯეტო დაგეგმვის ანალიზის და კონტროლის განყოფილების უფროსმა: ვაჟა ჯუღელმა

კომისიის თავმჯდომარე: გურამი კიკნაველიძემ განაცხადა, 9 თვის შესრულებასთან დაკავშირებით წარმოადგინეთ ა.ა.ი.პ-ების, მერია, საკრებულოს, გაწეული ხარჯები

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საბიუჯეტო დაგეგმვის ანალიზის და კონტროლის განყოფილების უფროსი: ვაჟა ჯუღელმა განაცხადა, რომ 9 თვის შესრულებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი იქნება ა.ა.ი.პ-ების, მერია, საკრებულოს, მიერ გაწეული ხარჯები

კომისიის თავმჯდომარე: გურამი კიკნაველიძემ განაცხადა, სამსახურებრივი შესრულებული გეგმის პროცენტები წერია, მაგრამ უნდა იყოს შეფასებული რა მოვიკვლიეთ რა რეკომენდაციები მივეცით ეს შიდა აუდიტის და ინსპექტირების სამსახურმა უნდა მოიკვლიოს, აღნიშნულ მოსაზრებას ეთანხმება გურამი ჩხეიძე

კომისიის წევრი: გურამი ჩხეიძემ განაცხადა, რომ ინვენტარიზაციასთან დაკავშირებით რა სამუშაოები ჩატარდა თუ მოხდა შედარება ძველ წლებში ჩატარებულ მონაცემებთან ინვენტარიზაცია კანონით გაწერილია და ის ორგანიზაცია რომელიც ამჟამად მუშაობს და გვაქვს შესაბამისი ხელშეკრულება, უნდა ჩაატაროს და დაასრულოს ინვენტარიზაცია ამჟამად რა პროცესშია

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საბიუჯეტო დაგეგმვის ანალიზის და კონტროლის განყოფილების უფროსი: ვაჟა ჯუღელმა განაცხადა, რომ ინვენტარიზაციასთან დაკავშირებით მიმიდინარეობს ხელშეკრულების ფარგლებში ჩასატარებელი სამუშაო პროცესი

საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: გურამი კიკნაველიძემ კენჭისყრაზე დასვა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის მეორე კვარტლის შესრულების მიმოხილვა. წარმოდგენილი საკითხი არსებული შენიშვნებით, რაც მითითებული იქნება კომისიის გადაწყვეტილებაში გატანილ იქნას საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომაზე

კომისიამ გადაწყვიტა:

ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის მეორე კვარტლის შესრულების მიმოხილვა.

არსებული შენიშვნები

II კვარტლის შესრულების მონაცემებით 6თვის შემოსავლების გეგმა გათვალისწინებულია წლიური გეგმის 39,2 % ით. მიუხედავად აღნიშნულისა, ანუ შემოსავლების ნაკლები ოდენობით დაგეგმვისა შესრულებული არ არის

შემოსავლების არცერთი სახეობა. გადასახადების გეგმა შესრულებულია 89,3 % ით (2926,7-2612,9) გრანტების 97,4 % ით. (2108,5-2053.8) სხვა შემოსავლების 76,5 % ით. (300,0-229,5)

დასაზუსტებელია საბიუჯეტო ბალანსის სხვა შემოსავლების გეგმები. ბალანსის N3 ცხრილით სხვა შემოსავლების გეგმაა 300,0 ათ ლარი. ხოლო სხვა შემოსავლები N7 ცხრილით გეგმა 258,0 ათ ლარს შეადგენს. ანუ წარმოდგენილი ანგარიშები დასაზუსტებელია. შესაბამისად არ არის შესრულებული 6 თვის ანგარიშებით ბიუჯეტით გათვალისწინებული საგადასახდელო გეგმები. 3618,2 ათ ლარი ანუ 76,5 % ით. არაფინანსური აქტივების ზრდა შესრულებულია 82,3 % ით. (2394,4-1971,0)

ანგარიშებით მთლიანი სალდო უარყოფითია ანუ დეფიციტურია და შეადგენს 229,8 ათ ლარს რომლის დაფარვის წყარო ფინანსური აქტივებია და ფაქტობრივად მიმართულია 197,0 ათ ლარი.

დასაზუსტებელია ფინანსური აქტივების ზრდა 426,8 ათ ლარით

არაფინანსური აქტივების კლებით წლიური მისაღები შემოსავლების 447,6 ათ ლარის გეგმა გათვალისწინებულია და მიღებულია პირველ კვარტალში. გეგმა შესრულებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო საკუთრების ქონების პრივატიზების ხარჯზე. გეგმა არ იყო გათვალისწინებული მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის როგორც დამტკიცებულ, ასევე დაზუსტებული გეგმების მიხედვით.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 31 მარტის N6 დადგენილებით დაზუსტდა და განისაზღვრა სარეზერვო ფონდი 40 ათ ლარით. გახარჯულია 26,2 ათ ლარი. აქედან პირველ კვარტალშია გახარჯული 16,6 ათ ლარი, ფონდიდან გამოყოფილი თანხები მიმართულია სოციალური დახმარების დარგით. მაშინ როცა ბიუჯეტის გეგმით აღნიშნული პროგრამებით გათვალისწინებული ასიგნებების უმეტესობა აუთვისებელია.

ბიუჯეტის 6 თვის შესრულების მიმოხილვასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტორული შემოწმების შედეგები არასრულყოფილია. გაანალიზებული არ არის „სხვა საქონელი და მომსახურეობის" მუხლით გაწეული ხარჯები. ამასთან გაუანალიზებელია და არასრულყოფილია 2020 წლის პრიორიტეტია დოკუმენტით გათვალისწინებული პროგრამების, ქვეპროგრამების და კაპიტალური ხარჯების შესრულების მიმდინარეობები.

აუდიტორული სამსახურის მიერ წარმოდგენილი მონაცემებით დაუსრულებელია მოსახლეობისთვის გადაცემული საამშენებლო მასალების გამოყენების მდგომარეობა. ასევეა აღნიშნული 2020 წლის სამი თვის ბიუჯეტის შესრულების აუდიტორულ ანგარიშში. ანუ საკითხი კვლავ მოუწესრიგებელია. ასევე მოსაწესრიგებელია

მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძვნებულ ა.(ა).ი.პ ზე მატერიალური ფასეულობების გადაცემის მდგომარეობები. დაუსრულებელია 2019 წლის 19 სექტემბერს ბაღდათის მუნიციპალიტეტსა და ა.(ა).ი.პ „საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსისტთა (სათეფა) შორის მემორანდუმით გათვალისწინებული მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაცია.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის მეორე კვარტლის შესრულების მიმოხილვა. საკითხი არსებული შენიშვნებით, რაც უკვე მითითებულია კომისიის გადაწყვეტილებაში გატანილ იქნას საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომაზე კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიღებულია

მომხრე:7 წინააღმდეგი:0

სხდომის ოქმს ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის მეორე კვარტლის შესრულების მიმოხილვა. საკითხთან დაკავშირებით თან ახლავს დანართი - მოხსენებითი ბარათი და ასევე მეორე დანართი ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის 6თვის შერულების ანალიზი

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: საკითხი4. კომისიის თავმჯდომარემ გურამი კიკნაველიძემ წარმოადგინა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტში საჯარო მმართველობის რეფორმის განხორციელების ხელშეწყობისათვის, ელექტრონული სერვისების განვითარების მიმართულებით 2020-2021 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

კომისიის წევრი: მაია კბილაშვილმა კითხვით გურამი კიკნაველიძეს მიმართა როგორია მივლინების გადამზადების კვალიფიკაციის ამაღლების სამოქმედო გეგმა

კომისიის თავმჯდომარე: გურამი კიკნაველიძემ უპასუხა მაია კბილაშვილს, ეს განსაზღვრულია რაც გულისხმობს ადგილობრივი მმართველობის ეფექტიანობის გაზრდას პერსონალის გადამზადებას და კვალიფიკაციის ამაღლებას სტანდარტიზაციას და თანმიმდევრულ განხორციელებას ელექტრონულ სერვისებზე აქცენტის გაკეთებით

საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: გურამი კიკნაველიძემ კენჭისყრაზე დასვა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტში საჯარო მმართველობის რეფორმის განხორციელების ხელშეწყობისათვის, ელექტრონული სერვისების განვითარების მიმართულებით 2020-2021 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ წარმოდგენილი საკითხი გატანილ იქნას საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომაზე

კომისიამ გადაწყვიტა:

ბაღდათის მუნიციპალიტეტში საჯარო მმართველობის რეფორმის განხორციელების ხელშეწყობისათვის, ელექტრონული სერვისების განვითარების მიმართულებით 2020-2021 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ. კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია წარმოდგენილი საკითხი გატანილ იქნას საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომაზე

კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიღებულია

მომხრე:7 წინააღმდეგი: 0

სხდომის დღის წესრიგით მიხედვით საკითხი ამოიწურა
სხდომა დახურულად გამოცხადდა

კომისიის თავმჯდომარე: . გურამი კიკნაველიძე